სახელმწიფო შესყიდვების ანალიზი კერძო და სახელმწიფო სექტორში

ქეთევან გელაშვილი

ეკა ნოზაძე

თეონა ქებულაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტზე მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი აბაშიშვილი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

სახელმწიფო შესყიდვების სფერო უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ბიზნესის განვითარებისთვის. მას როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებლად მოიაზრებენ. სახელმწიფო შესყიდვების კვლევა მნიშვნელოვანია ნებისმიერი სექტორისთვის, რომლის მიზანია ნაკლოვანებათა აღმოჩენა და ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში, გარკვეული ზომების მიღება და მუშაობა მათ აღმოსაფხვრელად / გამოსასწორებლად.

კვლევის ამოცანაა, შეგვესწავლა სახელმწიფო შესყიდვები კერძო და სახელმწიფო სექტორში, გავცნობოდით კანონს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", შეგვეფასებინა ჩატარებული ტენდერების ნაკლოვანებები. ნაშრომი განიხილავს ბაზარზე არსებული კომპანიების მუშაობის პრინციპს სახელმწიფო შესყიდვების შემთხვევაში და წარმოაჩენს დადებით და უარყოფით მხარეებს.

კვლევის მიზანს წარმოადგენს, სახელმწიფო შესყიდვების ნაკლოვანებების აღმოჩენა და რეკომენდაციების გაცემა. კვლევა ჩატარდა, როგორც ინტერნეტ გამოკითხვის, ასევე ინტერვიუების სახით. მივიღეთ ინფორმაცია ტენდერებზე და გამარტივებულ შესყიდვებზე, გამოვლინდა შესყიდვების სფეროში რეფორმების წარმატებები და ნაკლოვანებები, გავარკვიეთ,რომ გამარტივებული შესყიდვების მუხლი საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონში ახლო მომავალში იცვლება, თუმცა აღმოჩნდა, რომ ყველა შესყიდვის ელექტრონულად ასახვა მაინც შეუძლებელი რჩება.

კვლევის პროცესში გამოყენებული მრავალფაქტორული ანალიზისა და პროგნოზული მეცნიერული მეთოდები, საშუალებას მოგვცემს მომავალში უკეთ დარეგულირდეს სახელმწიფო შესყიდვები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სახელმწიფო შესყიდვები, სააგენტო, კერძო და სახელმწიფოსექტორი,ეფექტიანობა.

ABSTRACT

Procurement sphere is considered as one of the most important role in business development. It has a strategic meaning as in private as in public sectors. Public Procurement research is important for any sector whose aim is to detect disadvantages and in case of detection, take action and work to eradicate / correct them.

The task / problem of the research is to study Public Procurement in private and public sectors, to understand the law on "State Procurement", to assess the deficiencies in the conduct of the tenders. The study examines the principles of the work of companies on Georgian market in the state procurement and poses positive and negativesides, in case of any.

The goal of the research is to identify disadvantages of state procurement and issue recommendations. The survey was conducted based on „Internet Survey“, as well as interviews, conducted by us. We received information on ongoing tenders and simplified procurement, revealed successes and shortcomings in the reforms in the procurement sector. We found out that the simplified procurement is going to be updated / reviewed in the state procurement law of Georgia in the nearest future, but still, it turned out that electronic purchase will be impossiblefor all types / kind of uprchases. Multifactorial analyzes and predictive scientific methods, used in the research process will enable us to better regulate public procurement in the future.

Key search terms: public procurement, agency, private and public sector, efficiency.

მადლობა

მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, დოქტორ გიორგი აბაშიშვილს, რომელმაც გაგვიწია დიდი დახმარება კვლევითი პროცესის დაგეგმვაში და მართვაში. მადლობას ვუხდით კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე ექსპერტებს, რომელთა რეკომენდაციები უმნიშვნელოვანესი იყო სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.